საქართველოს მთავრობის

დადგენილება №23

2020 წლს 14 იანვარი

ქ. თბილისი

სახელმწიფო შესყიდვებში გამოყენებული კლასიფიკატორის (CPV) იმ კოდების განსაზღვრის თაობაზე, რომელთა მიმართაც არ დადგინდება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება

მუხლი 1

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჰ^3“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს დანართში მოცემული კლასიფიკატორის (CPV) კოდები, რომელთა მიმართაც არ დადგინდება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება.

მუხლი 2

ეთხოვოთ ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელების დადგენისას იხელმძღვანელონ ამ დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №536 – ვებგვერდი, 18.11.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 დეკემბრის დადგენილება №570 – ვებგვერდი, 08.12.2021წ.

კოდი	**დასახელება**
16400000	შესაწამლი მანქანები სოფლის მეურნეობის ან მებაღჩეობისათვის (სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს გარდა)
22100000	ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები
30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი
32300000	ტელე და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა
34100000	ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები
34200000	სატრანსპორტო საშუალებების ძარები, ტრაილერები ან ნახევარტრაილერები
34900000	სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები

39700000	საოჯახო ტექნიკა
42500000	გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობები
44100000	კონსტრუქციის მასალები და ანალოგიური ნივთები/საგნები
50700000	შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (გარდა სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრისა (ლაბორატორია))
79200000	საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები
79500000	საკანცელარიო მომსახურებები
79800000	ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები